THE FRONE VALLEY AND THE NOBLE HOUSE OF THE DOGHLIDZE FAMILY

ფრონეს ხეობა და დოღლიძეთა წარჩინებული საგვარეულო

GIORGI SOSIASHVILI
Doctor of History,
Academician of the Georgian National Academy of Sciences,
Professor of Gori State University,
#53, Chavchavadze st., 1400, Gori, Georgia,
+995577240088, giorgisosiashvili@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-2406-8662

Abstract. The valleys of the Frone rivers bordered the Likhi Range. In this territory—namely, in the valleys of the Surami River, the Ali River, as well as the Frone rivers of Dvani and Ptsi—numerous noble families laid claim to the villages located there. Considering the importance of the routes connecting eastern and western Georgia, this part of Inner Kartli held particular strategic significance from ancient times. The distribution of villages within the Frone valleys often became a cause of conflict among Georgian aristocratic houses, as confirmed by various historical sources.The presence of different noble families in the Frone valleys has been preserved through numerous toponyms. One such example is "Doghlaura," a plain located on the northern bank of the Mtkvari River extending toward Surami, which is associated with the Doghlidze family. This name is also preserved in a village within the Kareli municipality (currently, the village of Doghlauri belongs to the Breti administrative unit, located 8 km from Kareli, where the Ptsi Frone River joins the Mtkvari). Naturally, the Doghlidze domain was not limited to this village and the aforementioned plain; this feudal house controlled a substantial territory in the valleys of the Ptsi and Dvani rivers. To the northeast, their lands bordered the possessions of the Machabeli family.The Doghlidze family donated estates located in the lower reaches of the Greater Liakhvi Valley to the Holy Sepulchre of Christ, as evidenced by a charter issued in 1624 by King Simon II. The document records the renewal of this donation by the Daghladze (i.e., Doghlidze) family to a revered Christian site. This renewal was not accidental; rather, it likely reflected the extinction of the feudal house—its disappearance due to a lack of heirs. This tradition appears to have persisted in popular memory, as noted by the prominent Georgian populist writer Soprom Mgaloblishvili in one of his works.In the 14th–15th centuries, the Doghlidze feudal domain included part of the Dvani River valley (Ghverteti, Takhtisdziri, Dirbi), sections of the right bank of the Greater Liakhvi River (lands near Rkhuiti, or Khviti), and the lower southern zone of the Frone valleys extending toward Surami (the village of Doghlaura and the Doghlauri floodplain). The southern boundary of their domain followed the Mtkvari River. This territory, known as "Doghlauri," covered a considerable area. Together with the Tirifoni and Mukhrani plains, the Doghlauri field formed part of the extensive Kartli plain. Following the extinction of the Doghlidze feudal house, the territory of Doghlauri diminished and remained associated only with a single village (it is likely that the Doghlidze family retained ownership of this area in its final phase) and its floodplain.In addition to the Doghlidze domain, several other feudal principalities existed in the Frone valleys, including those of the Palavandishvili, Amirejibi, and Abashidze families. Among these, the Amirejibi domain appears to have formed the earliest, with its center at Nabakhtevi. The expansion of the Amirejibi holdings eastward likely occurred at the expense of the reduced Doghlidze territory.By the late 14th century, the Doghlidze family is mentioned alongside other prominent Kartlian nobles in a document that names Ananiki Doghlisdze as one of the aristocrats of Kartli. Although he did not hold the title of eristavi (duke), he was a representative of an influential feudal house. However, by the early 15th century, the Doghlidze family appears to have gradually lost its political and social influence. Their lands were appropriated by other noble families. The weakened Doghlidze house was pressured by the Machabeli family from the northeast and, likely, by the Amirejibi family from the west.By the late 16th and early

17th centuries, the Doghlidze lineage ceased to exist. Consequently, in 1624, King Simon II of Kartli (r. 1619–1630/31) renewed the donation of their estates to the Holy Sepulchre, as previously noted.Information about the Doghlidze feudal domain has been preserved in several documents, oral traditions, and in the surviving toponym "Doghlauri." In the Khashuri municipality, the surname Dugladze is found. In our view, this surname likely derives from the old feudal family of Doghlisdze (Doghlidze). In oral tradition—such as that recorded by S. Mgaloblishvili—the form "Doghlasdze" is attested. The evolution of the surname may have proceeded as follows: Doghlisdze → Doghlasdze → Dughlasdze → Duglasdze → Dugladze.

Keywords: Prone Valley, Liakhvi Valley, Doghlidze family, Estates, Toponym.

გიორგი სოსიაშვილი
ისტორიის დოქტორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. #53, 1400, საქართველო,
+995577240088, giorgisosiashvili@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-2406-8662

აბსტრაქტი. ფრონეების ხეობები ლიხის ქედს ესაზღვრებოდა. აღნიშნული ტერიტორიაზე, ვგულისხმობთ, სურამის წყლის, ალის წყლის, ასევე დვანის და ფცის ფრონეთა ხეობებში არსებულ სოფლებს, არაერთი წარჩინებული საგვარეულო აცხადებდა პრეტენზიას. თუ გავითვალისწინებთ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გზების მნიშვნელობას, შიდა ქართლის ამ ნაწილს ძველთაგანვე განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა და ფრონეთა ხეობებში არსებული სოფლების გადანაწილება ქართველ დიდგვაროვანთა ურთიერთდაპირისპირების საფუძველი ხდებოდა, რაც არაერთი წყაროთი დასტურდება. ფრონეების ხეობებში სხვადასხვა წარჩინებულ საგვარეულოთა მფლობელობის კვალი ბევრმა ტოპონიმმა შემოგვინახა. ერთ-ერთი ასეთია „დოღლაურა" - მტკვრის პირზე არსებული (ჩრდილოეთ მხარეს) ვაკე სურამამდე, რომელიც დოღლიძეების საგვარეულოს უკავშირდება. ამ სახელით არის ასევე შემორჩენილი სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში(დღევ. მონაცემებით სოფელი დოღლაური ბრეთის ადმინისტრაციულ მუნიციპალიტეტში შედის, ქარელიდან 8-კმ-ის დაშორებით, სადაც მტკვარს მდ. ფცის ფრონე ერთვის). დოღლიძეების სამფლობელო, ცხადია, ამ სოფლით და მითითებული ვაკე ადგილით-„დოღლაურით" არ შემოიფარგლებოდა და აღნიშნულ ფეოდალურ სახლს ფცის და დვანის წყლის ხეობებში საკმაოდ დიდი ტერიტორია ეკავა. მათი მამულები ჩრდილო-აღმოსავლეთით მაჩაბლების სამფლობელოს ემიჯნებოდა. დოღლიძეებს დიდი ლიახვის ხეობის ქვემო წელზე არსებული მამულები ქრისტეს საფლავისთვის შეუწირავთ, რაც დასტურდება 1624 წელს სვიმონ II მიერ გაცემული ერთ-ერთი სიგელით. დოკუმენტში მოხსენიებული დაღლაძეების, იგივე დოღლიძეების მიერ ქრისტიანთა სათაყვანებელი ადგილისადმი ბოძებული შეწირულობის განახლება შემთხვევითი არ იყო, მიზეზი, ვგულისხმობთ სვიმონ II-მიერ მაცხოვრის საფლავისათვის დოღლიძეებისეული მამულების ხელახლა ბოძებას, მითითებული საგვარეულოს ამოვარდნა (მათი ფეოდალური სახლის გადაშენება, უმემკვიდროდ გადაგება) უნდა ყოფილიყო. ამის შესახებ როგორც ჩანს, მოსახლეობაშიც იყო შემორჩენილი გადმოცემა, რაზეც ცნობილი ქართველი ხალხოსანი მწერალი, სოფრომ მგალობლიშვილი თავის ერთ-ერთ წერილში მიუთითებს. XIV-XV საუკუნეებში დოღლიძეების საფეოდალოში შედიოდა: დვანის წყლის ხეობის ნაწილი (ღვერთეთი,

ტახტისძირი, დირბი); ნაწილობრივ დიდი ლიახვის მარჯვენა სანაპირო (მიწები რხუითის ანუ, ხვითის მახლობლად) და, აგრეთვე, ფრონეების ხეობის ქვედა, სამხრეთი ზოლი სურამის მიმართულებით (სოფ. დოღლაურა და დოღლაურის ჭალა). დოღლიძეების სენიორიის სამხრეთი საზღვარი მდ. მტკვარს მიჰყვებოდა. დოღლიძეების სამფლობელოს „დოღლაური“ ეწოდებოდა და ის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. დოღლაურის ველი, ტირიფონის და მუხრანის ველებთან ერთად ქართლის ვრცელი ვაკის შემადგენელი ნაწილი იყო. „დოღლაური“ აღნიშნული ფეოდალური სახლის ამოვარდნის შემდეგ დავიწროვდა და მხოლოდ ერთ სოფელს (სავარაუდოდ, დოღლისძეებს ბოლოს ეს ადგილები ჰქონდათ საკუთრებაში) და ჭალას შერჩა. დოღლიძეების საფეოდალოს გარდა ფრონეების ხეობებში რამდენიმე სათავადო არსებობდა. მათ შორის საფალავანდიშვილო, საამირეჯიბო და სააბაშიო. აქედან ყველაზე უფრო ადრე ჩამოყალიბდა საამირეჯიბო, რომლის ცენტრი იყო ნაბახტევი. ამირეჯიბთა სათავადო, აღმოსავლეთით, დოღლიძეების საფეოდალოს ტერიტორიის შემცირების ხარჯზე უნდა გაზრდილიყო. XIV საუკუნის ბოლოს დოღლიძეების გვარი ერთ-ერთ დოკუმენტში ქართლის სხვა წარჩინებულების გვერდით გვხვდება. ამ საბუთში დოღლისძე ანანიკი ქართლის დიდგვაროვნთა შორის იხსენიება, ის საკმაოდ გავლენიანი ფეოდალური სახლის წარმომადგენელი იყო, თუმცა ერისთავის ტიტული არ ჰქონდა. უნდა ვივარაუდოდ, რომ XV საუკუნის დასაწყისში, დოღლიძეების ფეოდალურმა სახლმა თანდათან დაკარგა თავისი პოლიტიკური და სოციალური გავლენა. მათი მამულები სხვა წარჩინებული საგვარეულოს წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს. დასუსტებული დოღლიძეების ფეოდალური სახლი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მაჩაბლებმა შეავიწროვეს, ხოლო დასავლეთიდან, სავარაუდოდ, ამირეჯიბებმა. XVI საუკუნის ბოლოს, XVII საუკუნის დასაწყისში, დოღლიძეების საგვარეულომ არსებობა შეწყვიტა, რის გამოც 1624 წელს, ქართლის მმართველმა სვიმონ II-ემ (1619-1630/31), როგორც მივუთითებდით, ქრისტეს საფლავს დოღლიძეების მიერ ბოძებული მამულების წყალობა განუახლა.

ცნობები დოღლისძეთა საფეოდალოს არსებობის შესახებ შემოგვინახა რამდენიმე დოკუმენტმა, ზეპირსიტყვიერმა გადმოცემებმა და დღემდე შემორჩენილმა ტოპონიმმა - „დოღლაური“. ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებობს დუგლაძეების გვარი. ჩვენი აზრით, მითითებული გვარი, სწორედ ძველი ფეოდალური საგვარეულოდან - დოღლისძისაგან უნდა მომდინარეობდეს (ზეპირსიტყვიერ გადმოცემებში, მაგ. ს. მგალობლიშვილიშვილის პუბლიკაციის მიხედვით იხსენიება დოღლასძე). სავარაუდოდ გვარი ასეთი სახით უნდა ჩამოყალიბებულიყო: დოღლისძე-დოღლასძე-დუღლასძე-დუგლასძე-დუგლაძე.

საკვანძო სიტყვები: ფრონეს ხეობა, ლიახვის ხეობა, დოღლიძეების საგვარეულო, მამულები, ტოპონიმი.

შესავალი. ფრონეების ხეობები დასავლეთი ნაწილი ლიხის ქედს ესაზღვრება. აღნიშნული ტერიტორიაზე, ვგულისხმობთ სურამის წყლის, ალის წყლის, ასევე დვანის და ფცის ფრონეთა ხეობებში არსებულ სოფლებს არაერთი წარჩინებული საგვარეულო აცხადებდა პრეტენზიას. თუ გავითვალისწინებთ, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გზების მნიშვნელობას, შიდა ქართლის ამ ნაწილს ძველთაგანვე განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა და ფრონეთა ხეობებში არსებული სოფლების გადანაწილება ქართველ დიდგვაროვანთა ურთიერთდაპირისპირების საფუძველი ხდებოდა, რაც არაერთი წყაროთი დასტურდება. ფრონეების ხეობებში სხვადასხვა წარჩინებულ საგვარეულოთა მფლობელობის კვალი ბევრმა ტოპონიმმა შემოგვინახა. ერთ-ერთი ასეთია - „დოღლაურა“ - მტკვრის პირზე არსებული (ჩრდილოეთ მხარეს) ვაკე სურამამდე, რომელიც დოღლიძეების საგვარეულოს უკავშირდება. ამ

სახელით არის ასევე შემორჩენილი სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში (დღევ. მონაცემებით, სოფელი დოღლაური ბრეთის ადმინისტრაციულ მუნიციპალიტეტში შედის, ქარელიდან 8-კმ-ის დაშორებით (ენციკლოპედია „საქართველო“, 2012: 488), სადაც მტკვარს მდ. ფცის ფრონე ერთვის (ხარაძე, 1992: 140). დოღლიძეების სამფლობელო, ცხადია, ამ სოფლით და მითითებული ვაკე ადგილით „დოღლაურით“ არ შემოიფარგლებოდა და აღნიშნულ ფეოდალურ სახლს ფცის და დვანის წყლის ხეობაში საკმაოდ დიდი ტერიტორია ეკუთვნოდა.

მეთოდები. მიმდინარე კვლევა ძირითადად ეფუძნება ისტორიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებში აპრობირებული კვლევის მეთოდებს: ემპირიულ ანალიზს, შედარებით-ისტორიულ მეთოდს, მიზეზობრივ-შედარებით ანალიზს, სინთეზს, აბსტრაქციას, კონტენტანალიზს და სისტემურ ანალიზს.

შედეგები და მსჯელობა. დოღლისძეების შესახებ ძალზე საინტერესო ინფორმაცია შემოგვინახა 1432 წლით დათარიღებულმა დოკუმენტმა, ეს გახლავთ მოლარეთუხუცეს ხელა თავხელისძის მიერ თირის მონასტრისადმი ბოძებული შეწირულობის სიგელი. საიდანაც ირკვევა, რომ ქავთარ დედანაშვილის მიერ დოღლისძეებისგან ნაყიდი მამული - „შურტაული“ სიგელის დამწერ ხელა თავხელისძეს თირის მონასტრისთვის შეუწირავს: „და განუჩენია კ(ვალა)დაცა ორი აღაპი დედანაშვილი ქავთარიასა და რუსთავისათვის ანდერძად დაგდებულის ქაიხოსროს ხელსადმი: ღვერთეთს დედანაშვილისაგან ნასყიდი, დოღლაძის მიერ მოსყიდული მამული შურტაული, სააღაპოდ დედანაშვილისად შეუწირავს მონასტრისადმი ბეგარითა...“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 2013: 179-181) დოკუმენტში მოხსენიებული ღვერთეთი დვანის ხეობის ზემო წელზეა, წუნართან ახლოს,[1] ხოლო სოფელი დოღლაურა და დოღლაურას ჭალა კი - ფცის ფრონეს ქვემო წელზე. როგორც ჩანს, დოღლაძეების ფეოდალური სახლი საკმაოდ დიდ ტერიტორიას ფლობდა, ჩრდილო-აღმოსავლეთით მაჩაბლების სამფლობელოს ემიჯნებოდა და დიდი ლიახვის ხეობაში თავხელისძეთა გამოჩენამდე გაბატონებულ მაჩაბელთა ფეოდალურ სახლთან დაპირისპირებაც ჰქონდა, ამის მიზეზი დიდი ლიახვის ხეობაში დოღლიძეების ტერიტორიული პრეტენზიები უნდა ყოფილიყო. მითითებულ ხეობაში მათ მამულები ჰქონდათ, მათ შორის, სოფელ ხვითის სიახლოვეს. დოღლიძეებს დიდი ლიახვის ხეობის ქვემო წელზე არსებული მიწა ქრისტეს საფლავისთვის შეუწირავთ, რაც დასტურდება 1624 წელს სვიმონ II მიერ გაცემული ერთ-ერთი სიგელით, რომლითაც ქართლის მეფემ ქრისტეს საფლავს დოღლიძეების მიერ ბოძებული შეწირულობა განუახლა: „მერმე დაღლაძისაგან ქრისტეს საფლავისათვის რხუითის[2] ბოლოს მიწები აქვს შეწირული და იმის წიგნები დეკანოზს დეკანოზს იოვანეს აქვს. რაც იმ წიგნებში მიწები ეწეროს, ჩვენც ის შეგვიწირავს.“ (ხუციშვილი, 2006: 31) დოკუმენტში მოხსენიებული დაღლაძეების, იგივე დოღლიძეების მიერ ქრისტეს საფლავისადმი ბოძებული შეწირულობის განახლება შემთხვევითი არ იყო, მიზეზი, ვგულისხმობთ სვიმონ II-მიერ

[1] დოკუმენტში წერია „მამული შურტაული“, რაც საკუთარი სახელიდან შურტადან უნდა მომდინარეობდეს. (სოსიაშვილი, 2021: 52). აღნიშნული მამული, რომელიც უწინ შურტას ეკუთვნოდა, დოღლიძეების საკუთრებაში იყო. აღსანიშნავია, რომ ჯ. გვასალია აღნიშნულს კითხულობდა როგორც „მურტაული“, თუმცა თვითონვე შეჰპარვია ეჭვი და გვერდით კითხვის ნიშნის თანხლებით მიუწერია „შურტაული“. „ულ“ და „ურ“ სუფიქსიანი სახელები დოკუმენტურ წყაროებში არაერთია, რაც კუთვნილებას აღნიშნავდა. მაგ. „ბერფურაული“, „საღირაული“ და სხვ.

[2] ნ. ხუციშვილის აზრით „რხუითი“ „რხვითის“, იგივე გვიანდელი ხვითის იდენტურია, ამას ადასტურებს 1573 წლის ერთი დოკუმენტი, სადაც აღნიშნული ტოპონიმის ორივე ფორმა გვხვდება. ეს სოფელი ნიქოზთან ახლოს მდებარეობს. (ხუციშვილი, 2006: 31)

ქრისტეს საფლავისადმი დოღლიძეებისეული მამულების ხელახლა ბოძება, მითითებული საგვარეულოს ამოვარდნა (მათი ფეოდალური სახლის გადაშენება, უმემკვიდროდ გადაგება) უნდა ყოფილიყო. ამის შესახებ როგორც ჩანს, მოსახლეობაშიც იყო შემორჩენილი გადმოცემა, რაზეც ცნობილი ქართველი ხალხოსანი მწერალი, სოფრომ მგალობლიშვილი წერს: „დირბი და ტახტისძირი ჰკუთვნებია ვიღაც ძველ ფეოდალს დოღლასძეს, რომელსაც, ხალხის გადმოცემით, სჭერია აგრეთვე დოღლაურის ჭალაცა მტკვრის პირად, ვიდრე სურამამდე. უძეოდ გადაგებულა დოღლაძე და ჩვენს მეფეებს, ეს უკვდავება მამული შეუწირავთ ქრისტეს საფლავისათვის.“ (ივერია, 1888) აღნიშნული გადმოცემას, როგორც ვხედავთ, დოკუმენტურად ადასტურებს სვიმონ II-ის მიერ გაცემული სიგელი. დოღლიძეების სამფლობელო საკმაოდ ფართო ტერიტორიას მოიცავდა. როგორც ნ. ხუციშვილი განმარტავს, XIV-XV საუკუნეებში მათ საფეოდალოში შედიოდა: დვანის წყლის ხეობის ნაწილი (ღვერთეთი, ტახტისძირი, დირბი); ნაწილობრივ დიდი ლიახვის მარჯვენა სანაპირო (მიწები რხუითის ანუ, ხვითის მახლობლად) და, აგრეთვე, ფრონეების ხეობის ქვედა, სამხრეთი ზოლი სურამის მიმართულებით(სოფ. დოღლაურა და დოღლაურის ჭალა) (ხუციშვილი, 2006: 32). დოღლიძეების სენიორიის სამხრეთი საზღვარი მდ. მტკვარს მიჰყვებოდა. აღნიშნულ საფეოდალოს რამდენიმე სათავადო ესაზღვრებოდა. აღმოსავლეთით საამილახვრო(რომლის დასავლეთი მიჯნა იყო ტინისხიდი, საამილახვრის ხაზი აქედან ოთარშენ-ახალდაბისკენ მიემართებოდა და ძევერასთან აღმოსავლეთ საზღვარს უერთდებოდა) (გვრიტიშვილი, 1955: 120) ჩრდილო-დასავლეთით სამაჩაბლო (მაჩაბელთა სათავადოში შედიოდა ძირითადად დიდი ლიახვის ხეობა, თუმცა სათავადო სახლის წევრებს ყმები და მამულები ეკუთვნოდათ, დვალეთში, დვანის წყლის და მდ. ყვირილას ზემო წელზე არსებულ სოფლებში, ასევე პატარა ლიახვის ხეობის და შიდა ქართლის სხვა სოფლებშიც) (სოსიაშვილი, 2021: 58-60), რომელსაც მუდმივი დავა ჰქონდა სოფლების დასაკუთრების მიზნით დოღლიძეების ფეოდალურ სახლთან. ამას ადასტურებს ს. მგალობლიშვილის ჩანაწერებში არსებული ცნობები. 1884 წელს, გაზ. „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში ს. მგალობლიშვილი წერს: „როდესაც ჩვენ დავუპირდაპირდით სოფელს საბა-წმინდას, ჩვენმა მასპინძელმა, თ. ი. მ-მა (იგულისხმება ცნობილი ქართველი მთარგმნელი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ივანე მაჩაბელი - გ.ს.), მიამბო შემდეგი ამბავი: მაჩაბლიანი ძველად საბაწმინდაში მდგარან. შემდეგ ჩამოსულან თამარაშენში და ქურთაში. მიზეზი აი ეს იყოვო. ავნევის ხეობაზე მდგარა ერთი მძლავრი აზნაურშვილი დოღლაძე. ამას ჰქონია მამითადი სალთვისის მინდორში, სადაც წყალი არ არის. ძველ დირბის მებატონეს, აზნაურს დოღლაძეს, ექვსი ვირით გაუგზავნია ექვსი მეძნეური, რომ საბაწმინდიდამ ყინული ჩამოეტანათ მომკლებისათვის. შეუნიშნავს მოსულნი ვირებით თ. მ-ბელს და უბძანებია-ხუთს კაცს და ვირს თავები დააყრევინონ, მეექვსეს აჰკიდონ და გაუგზავნონ ბრიყვს აზნაურს, რომელიც გაკადნიერდა და მაჩაბლის მამულიდამ ყინულის წაღება მოინდომა. მძლავრმა აზნაურმა დაიმარხა გულში შური, რომელიც უცდიდა დროს, რომ ბრაზად გახეთქილიყო. შეჰკრიბა საყმო, აასხა იარაღი და აღდგომა ღამეს, როდესაც ლიტონიას უვლიდნენ და მთელი საბა-წმინდა, რასაკვირველია, იქ იყო, თურმე დაეცა მძვინვარე დოღლაძე სოფ. საბა-წმინდას და ყველანი მოსრნა. ლალამ თურმე გადაარჩინა ერთი აკვნის ბავშვი მაჩაბლისა. აღიზარდა იგი ოსეთში. ერთხელ ოსებით დაესწრო ომში და ძალიან ვაჟკაცობა აღმოიჩინაო. მეფე ომის დროს დიდი ყურადღება მიაქცია მას, მოიხმო თავისთან და გამოჰკითხა ვინაობა. მანაც მოახსენა და მეფემ ისევ დაუბრუნა ძველი მამული და ახალიც ზედ დაურთო.“ (მგალობლიშვილი, 1884: 1-3) ს. მგალობლიშვილს ამ ჩანაწერში, რომელსაც საფუძვლად ივანე მაჩაბლის ნაამბობი ჰქონდა, ბუნებრივია, მაჩაბლების და დოღლიძეების დაპირისპირების მხოლოდ ერთი შემთხვევა არ იგულისხმება. როგორც აღვნიშნეთ, დოღლიძეების მამულს ჩრდილო-დასავლეთიდან მაჩაბლების სათავადო ემიჯნებოდა. დოღლიძეებს დვანის ფრონეს ხეობის ზემო წელზე არსებული სოფლების გარდა დიდი

ლიახვის ხეობის ქვემო წელზეც ჰქონდათ მამულები და ამ ორი საფეოდალოს დაპირისპირებაც სწორედ აქედან მოდიოდა. დოღლიძეების საფეოდალოს ზუსტი საზღვრების დადგენა გაგვიჭირდება, რადგან წყაროებში აღნიშნული საგვარეულოს შესახებ ცნობები ერთობ მწირია. თუმცა ვიცით, რომ მათი გავლენა ჩრდილოეთით ვრცელდებოდა დვანის და ფცის ფრონეების შუა და ზემო წელზე არსებულ სოფლებში, ხოლო სამხრეთით-მდინარე მტკვრის დინების გასწვრივ - სურამის მიმართულებით. დოღლიძეების სამფლობელოს „დოღლაური“ ეწოდებოდა, ის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. დოღლაურის ველი, ტირიფონის და მუხრანის ველებთან ერთად ქართლის ვრცელი ვაკის შემადგენელი ნაწილი იყო. (გვასალია, 1983: 8) დოღლაური აღნიშნული ფეოდალური სახლის ამოვარდნის შემდეგ დავიწროვდა და მხოლოდ ერთ სოფელს (სავარაუდოდ, დოღლისძეებს ბოლოს ეს ადგილები ჰქონდათ საკუთრებაში) და ჭალას შერჩა.[3] დოღლაურის ჭალას იხსენიებს იოანე ბატონიშვილი: „ქ. დოღლაურის ჭალა ქ. და სურამის მინდორი გუგულის მთით.“ (ბაგრატიონი, 1986: 80) ამ ცნობის მიხედვით, დოღლაურას ჭალას მოსდევდა სურამის მინდორი. დოღლიძეების საფეოდალოს გარდა ფრონეების ხეობებში რამდენიმე სათავადო არსებობდა. მათ შორის საფალავანდიშვილო, საამირეჯიბო და სააბაშიო. აქედან ყველაზე უფრო ადრე ჩამოყალიბდა საამირეჯიბო, რომლის ცენტრი იყო ნაბახტევი. (გვასალია, 1989: 34) ამირეჯიბთა სათავადო, აღმოსავლეთით, დოღლიძეების საფეოდალოს ტერიტორიის შემცირების ხარჯზე უნდა გაზრდილიყო. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ XV საუკუნის დასაწყისში დვანის ფრონეს ქვემო წელზე არსებული სოფელი საღოლაშენი უკვე ამირეჯიბების საკუთრებას წარმოადგენდა. (გვასალია, 1989: 34) XIV საუკუნის ბოლოს დოღლიძეების გვარს ერთ-ერთი დოკუმენტი ქართლის სხვა წარჩინებულთა გვერდით იხსენიებს. 1398 წლით დათარიღებული საბუთის მიხედვით, „ამირთ-ამირა“ ლომი სონღულისძეს და მის ძმისწულს ლაჩიას მცხეთისათვის ზვარი შეუწირავთ გორში, ხოლო სვეტიცხოვლის ტაძრისთვის გალავანი („სპონდიო“) შემოუვლიათ. დოკუმენტს ქართლის სხვა დიდგვაროვნებთან ერთად დოღლისძე ანანიკიც ამტკიცებს. დოკუმენტში ვკითხულობთ: „...მე ამირთ ამირამან სუნღულისძემან ლომმან და ჩემმა ძმისწულმა ლაჩიამა... (შემოვსწირე მცხეთას) გორს ჩუენი ნასყიდი აქუბაშვილისაგან ზუარი მისითა სამართლიანითა მზღურითა... (საწნახელითა...და შემოვავლე საყდარსა თქუენსა სპონდიო და ჰქონდეს (მცხეთას) ესე ჩემ მიერ შეწირული...და აჰა კ-ზო გ-გი(გიორგი)... ქრისტეშობის დღეს... უნაკლულოსა არაპსა გარდაიჴდიდით (და შემდგომად სხვა კათალიკოზებიც გარდამიხდიდენო) ...დაიწერა...ქკს: პვ: ივლისსა:ივ:ჴელითა სეფის მწიგნობრისა ბასილაშვილის იოსებისითა“.. საბუთს ხელს აწერს რამდენიმე დიდგვაროვანი, მათ შორის: ქვენიფნეველი ერისთავი ვირშელი, ერისთავი შაბურისძე მიქაი და დოღლისძე ანანიკი. (ჟორდანია, 2018: 202-203) რაკი ამ საბუთში დოღლისძე ანანიკი ქართლის წარჩინებულების, ერისთავების გვერდით იხსენიება, ის საკმაოდ გავლენიანი ფეოდალური სახლის წარმომადგენელია, თუმცა ერისთავის ტიტული არ აქვს. უნდა ვივარაუდოდ, რომ XV საუკუნის დასაწყისში დოღლიძეების ფეოდალურმა სახლმა თანდათან დაკარგა თავისი პოლიტიკური და სოციალური გავლენა. მათი მამულები სხვა წარჩინებული საგვარეულოს წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს, ამის ნათელი მაგალითია ხელა თავხელისძის მიერ 1432 წელს თირის მონასტრისადმი ბოძებულ სიგელში არსებული ცნობა, რომლის თანახმადაც დედანაშვილის მიერ დოღლიძეებისაგან ნაყიდი მამული ხელამ მონასტერს გადასცა და დედანაშვილის სახელზე აღაპი დააწესა. დასუსტებული დოღლიძეების ფეოდალური სახლი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მაჩაბლებმა შეავიწროვეს, ხოლო დასავლეთიდან, სავარაუდოდ, ამირეჯიბებმა, რომლებიც ფრონეების ხეობებში

[3] აღსანიშნავია, რომ ალ. ღლონტი დოღლაურს სოფ. გომის ადრინდელ სახელწოდებათ მიიჩნევდა. (ღლონტი, 1988: 46)

მრავალრიცხოვან მამულებს ფლობდნენ. XVI საუკუნის ბოლოს, XVII საუკუნის დასაწყისში, დოღლიძეების საგვარეულომ არსებობა შეწყვიტა, რის გამოც ქართლის მმართველმა სვიმონ II-ემ (1619-1630/31), ქრისტეს საფლავს 1624 წელს დოღლიძეების მიერ ბოძებული წყალობა განუახლა. ამ დოკუმენტში მოხსენიებულია დეკანოზი იოვანე, რომელსაც დოღლიძეების ბოძებული შეწირულობის სიგელი შენახული ჰქონდა. დოღლიძეების საგვარეულოს წარმომავლობის შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს ნ. ხუციშვილს. ის მსგავსებას ხედავს გვარის ფუძესა და საკუთარ სახელს დოღარსლანს შორის, რომელიც ზედგინიძეთა საგვარეულოში გვხვდება, ეს დასტურდება სინის მთის სულთა მატიანეში შემორჩენილ ზედგინიძეთა მოსახსენებლებით: „ს(უ)ლსა ზედგინიძესა დოღარსნალ ყოფილსა დამიანეს შ(ეუნდვნე)ს ღ(მერთმა)ნ. მათსა მაცხედრეს თუმიან ყოფილსა თეკლ(ა) შ(ეუნდვნე)ს ღ(მერთმან.“ (ხუციშვილი, 2006: 33; ჯავახიშვილი, 1947: 243-244) აქვეა დოღარსლანიშვილის ქაიხოსროს მოსახსენებელი: „დოღ(ა)რსნ(ა)ლიშვილის ქაიხოსროს დასა მარინეს და მისთა ძმისწ(უ)ლთა ხუცის (სამი ხაზი გადაშლილია ნ.ხ) ვსა, იმარინდოს, გოდერძის შ(ეუნდვ)ნეს ღ(მერთმა)ნ.“ (ხუციშვილი, 2006: 33) XV საუკუნის I ნახევრით დათარიღებულ ამ მოსახსენებლებზე დაყრდნობით ნ. ხუციშვილი წერს: „თუ დავუშვებთ, რომ დოღარსნალი ზედგინიძეების საგვარეულო სახელი შეიძლება ყოფილიყო, XIV საუკუნეში მათგან დოღლიძეების გამოყოფა არ არის გამორიცხული.“ (ხუციშვილი, 2006: 35) შუა საუკუნეებში „არსლანი“ საკუთარ სახელების შემადგენელ ნაწილად საკმაოდ გავრცელებული იყო საქართველოში (მაგ. ქართულ წყაროებში კარგად არის ცნობილი ყუთლუ-არსლანი, ეგარსლანი). (ქართლის ცხოვრება, 1959: 30, 31, 207, 208) ის თურქული სამყაროდან იყო შემოსული და ლომს აღნიშნავდა. (Clauson, 1962: 203) (ცნობილია, ამ სახელის მქონე თურქ-სელჩუკთა იმპერიის მეორე სულთანი-მუჰამად ბინ დავუდ ჩაღრი ალფ-არსლანი(1029-1072 წ.წ.) (Kafesoğlu, n.d.) ზემოთ მითითებული, ზედგინიძეების გვარში გავრცელებული საკუთარი სახელის „დოღარსლანის“ ფუძე უნდა იყოს-„დოღ“ და ვფიქრობთ, რომ ეს საკუთარი სახელი „დოღა“ გავრცელებული იყო არამარტო ზედგინიძეთა გვარში, არამედ სხვა საგვარეულოებშიც. მითითებული სახელი ქართულ ონომასტიკონში სხვა გვარების წარმოქმნასაც დაედო საფუძვლად, როგორიცაა, მაგ. დოღასძე. 1527-1558 წლების დოკუმენტში იხსენიება დოღასძე გულია, სკრას მცხოვრები. იგი გოშფარ და როინ ჯავახიშვილების გაყრის შემდეგ თავისი მამულით ერგო გოშფარს. (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1993: 100) საკუთარი სახელის - „დოღას“ განუნდა მომდინარეობდეს გვარები დოღნაძე (1698-1701 წწ. დოკუმენტში იხსენიება სვიმონეთს მცხოვრები დოღნაძე დათუა), (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1993: 100) დოღურაძე (როკითს მცხოვრები, იხსენიება 1578 წლის დოკუმენტში). (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1993: 101) საკუთარი სახელი „დოღა“-დან უნდა მომდინარეობდეს გვარი დოღლისძეც (დოღ-ლი-დან „ლი“ მოფერებითი ნაწილაკია და სხვა გვარებში, ან მიმართვის ფორმებშიც გვხდება. მაგ. გოგ-ლი-გოგლიძე, გოგლიჩიძე; პაპა-პაპ-ლი და სხვ). ამდენად, საკუთარი სახელის-დოღარსლანის არსებობა ზედგინეძეთა გვარში არ ნიშნავს, რომ დოღლიძეების გვარი ამ საგვარეულოს წიაღში იშვა.

როდის უნდა გამოჩენილიყო დოღლიძეების საგვარეულო პოლიტიკურ ასპარეზზე? ტერიტორია, რომელსაც აღნიშნული ფეოდალური სახლი ფლობდა, თავის დროზე სურამელთა საფეოდალოს ეკუთვნოდა. ცნობილია, რომ სურამელები ძალზე გავლენიანი დიდგვაროვნები იყვნენ და საქართველოს სამეფო კარზე მნიშვნელოვანი თანამდებობებიც ეკავათ. მათი დაწინაურება XII საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო და სურამელებს XIV საუკუნის 10-იან წლებამდე თითქმის უწყვეტად ეკავად მეფის კარზე არსებული საკვანძო თანამდებობები. (ბახტაძე, თ.გ.: 1) XII საუკუნის სამოციან წლებში იხსნიება ბექა სურამელი, რომელიც გიორგი III-ეს (გ. 1184 წ.) მხარში ედგა ანისის შესანარჩუნებლად მუსლიმთა კოალიციის წინააღმდეგ. (ბახტაძე, თ.გ.: 2) წყაროებიდან ცნობილია ასევე რატი სურამელი, მითითებული ბექა სურამელის ვაჟი, რომელიც 1170 წელს ჩნდება წყაროებში. რატი

სურამელმა შიომღვიმის მონასტერს სოფელი კობალი შესწირა. მოგვიანებით, იგი ქართლის ერისთავი გახდა. (ბახტაძე, თ.გ.: 3, 5) რატი ქართლის ერისთავის პოზიციაზე მისი ვაჟმა-სულა სურამელმა შეცვალა. (ბახტაძე, თ.გ.: 7) სულა სურამელის შემდეგ ქართლის ერისთავი გახდა გრიგოლი. იგი იხსენიება 1242 წლის ახლო პერიოდში. მ. ბახტაძის განმარტებით: „გრიგოლის გამგებლობაში მოქცეული დუმანი ტერიტორიულად შიდა ქართლს მოიცავდა და თითქმის ემთხვეოდა ქართლის საერისთავოს ტერიტორიას.“ (ბახტაძე, თ.გ.: 11) გრიგოლის შემდეგ ქართლის ერისთავობას და მსახურთუხუცესობას ფლობდა გრიგოლის ძე ბეგა სურამელი, ხოლო შემდეგ კი მისი ძე-ამადა სურამელი, რომელიც სურამელთა საგვარეულოს ბოლო წარმომადგენელი და ქართლის უკანასკნელი ერისთავი იყო. დემეტრე II თავდადებულის ძეს-დავით VIII -ეს (1273/1274-1311 წწ.) ცოლად ჰყავდა ამადა სურამელის ასული (დაქორწინდა 1302 წ.) რომელთანაც შეეძინა გიორგი VI მცირე (1308-1318წწ.) (ბახტაძე, თ.გ.: 16, 17, 19, 20) გიორგი V ბრწყინვალის (1286-1346 წწ.) მიერ მისი თავიდან ჩამოშორების შემდეგ, როგორც ჩანს, სურამელებიც გაქრნენ პოლიტიკური ასპარეზიდან. ჩვენი აზრით, სწორედ ამის შემდეგ უნდა დაწინაურებულიყო დოღლისძეების საგვარეულო (ნაკლებ სავარაუდოა, რომ ისინი სურამელების განაყრები ყოფილიყვნენ, დედის მხრიდან გიორგი VI-ის მცირეს ნათესავებს, ახალი პოლიტიკური ელიტა დაწინაურების შესაძლებლობას არ მისცემდა). აღნიშნული გვარი ასპარეზზე, სავარაუდოდ, გიორგი V ბრწყინვალის მეფობისას გამოჩნდა (სურამელთა ფეოდალური სახლის არსებობის დროს შეუძლებელია დოღლისძეების ჯერაც უცნობ გვარს საკუთრებაში დიდი ტერიტორია ჰქონოდა). მათ სურამელთა სამფლობელოს ნაწილი გადაეცათ (არ გამოვრიცხავთ, რომ ისინი თავდაპირველად სურამელთა ფეოდალური სახლის აზნაურები იყვნენ და მცირე მამულს ფლობდნენ). აღნიშნულმა საფეოდალომ XIV საუკუნის ბოლომდე შეინარჩუნა თავისი გავლენა, ხოლო XV საუკუნის დასასყისიდან მათ მამულებს სხვა ფეოდალები დაეპატრონნენ.

დოღლისძეების საფეოდალოს საზღვრების ზუსტი დადგენა როგორც აღვნიშნეთ, წყაროების უქონლობის გამო ჭირს, თუმცა ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით ცხადი ხდება, რომ მათი გავლენა არამხოლოდ ფცის და დვანის ფრონეების ხეობებზე ვრცელდებოდა, არამედ ალის და სურამის წყლის ხეობების ნაწილზეც, თუმცა დოღლისძეების ფეოდალურმა სახლმა თანდათან დაკარგა გავლენა. დოღლისძეების საფეოდალოს სიახლოვეს, მის დასავლეთ ნაწილში პოლიტიკურ ასპარეზზე დაწინაურებული გობელიძეები დამკვიდრდნენ,[4] რომელთა საგვარეულო XV საუკუნიდან ამირეჯიბის სახელოს ფლობდა. იმავე საუკუნიდან ამირეჯიბი, როგორც სახელო გობელიძე-გაბელიძეების გვარის ფორმად იქცა. (ოთხმეზური, 1999: 28) გობელიძეების დაწინაურება, ვიდრე ისინი ამირეჯიბის სახელოს მიიღებდნენ, როგორც 1407-1410 წლების ქუცნა ამირეჯიბის მიერ ულუმბის ღვთისმშობლისადმი „დაწერილიდან“ ირკვევა, თამარის ქალიშვილის რუსუდანის მეფობის პერიოდს (1223-1245 წწ.) უკავშირდება. ქუცნა I დაწერილში რუსუდან მეფის წინაშე თავისი წინაპრების დამსახურების შესახებ მოგვითხრობს. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ქართველ მებრძოლებს გაბელიძის წინამძღოლობით „სპარსელთა“ ჯარი დაუმარცხებიათ. რუსუდანისათვის გამარჯვებულ გაბელიძეებს მიურთმევიათ „დროშა და ნაღარა და თაჯი თჯთონ მაღლისა სულთნისა." ამ დამსახურებისათვის მეფისაგან გაბელიძეებს მამულები ებოძათ. მათ შორის, წირქვალი და ზოდი (დღ. ჭიათურის რაიონი), ნაოხარი სოფლები ღოდორა, ლიჩი (საჩხერის რაიონი), გოლისი (ხარაგაულის რაიონი), უწლევი, ბობოკინი, ბროლოსანი და აძვისი (ახლ. ხაშურის რაიონი). (ოთხმეზური, 1999: 34; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 2013: 95)

[4] ამირეჯიბი მანდატურთუხუცესის თანაშემწე იყო. ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით, ვაზირობის დროს, ამირეჯიბს დარბაზში ყოფნის უფლება ჰქონდა. მას მეფესთან მუდმივი კომუნიკაცია შეეძლო. (ქართული სამართლის ძეგლები, 1965: 85)

ამავე დოკუმენტის მიხედვით, გაბელიძეებმა ბრძოლაში ნადავლად მიღებული დროშა ულუმბოს ღვთისმშობლის მონასტერს გადასაცეს, რომელსაც „მეხოიშნესა ჩუენსა“(შემწეს) უწოდებდნენ, ხოლო თაჯი-სპარსთა მეფის გვირგვინი მრავალძალის სალოცავს შესწირეს. (ოთხმეზური, 1999: 34)[5] ქუცნა ამირიჯების „დაწერილში“ ამირეჯიბების წინაპრები-გაბელიძეები ულუმბოს ღვთისმშობელს თავიანთ შემწე სალოცავს უწოდებენ. საინტერესოა, რომ ვიდრე მათ რუსუდანი მამულებს უწყალობებდა, ულუმბოს მონასტრისთვის შეწირულობა გაუღიათ. კერძოდ: „შევსწირეთ წაღვლი ნასწყიდი და ნამზითჳ მხეიძისაგ(ა)ნ. შევსწირეთ, ოდეს წარგვჩინა თჳთ და ამისად სპასალარად რუსუდან მეფემ[ა]ნ ლაშქარსა სპარსისასა და გაგვემარჯუა.“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 2013: 95) როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ჯერ კიდევ რუსუდანის მეფობაში გაბელიძე-ამირეჯიბებს ფრონეების ხეობების დასავლეთით უკვე მყარად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული და ისინი წაღვლთან ერთად ლიხის ქედზე გადასასვლელ გზასაც აკონტროლებდნენ. ამ დროისათვის წაღვლს დიდი სტრატეგიული დატვირთვა აღარ ჰქონდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სამეფო ხელისუფლება გაბელიძეებს არ დაუთმობდა და არც ამირეჯებები შესწირავდნენ მონასტერს ასეთი მნიშვნელობის მქონე სოფელს. როგორც ცნობილია, თავის დროს ლიხის ქედზე გადასასვლელ ერთ-ერთ გზას წაღვლის ციხე აკონტროლებდა, ხოლო წაღვლის თავი, სავარაუდოდ, სოფლის ზედა ნაწილი, სამეფო სადგომი იყო, ამას ადასტურებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები: „და იყო მაშინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა და სადგომი სამეფო წაღვლის-თავი.“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 324) (თუმცა, მოგვიანებით, დასავლეთ საქართველოსთან დამაკავშირებელმა მთავარმა გზამ შედარებით სამხრეთით გადმოინაცვლა და წაღვლმა ფუნქცია დაკარგა). ამირეჯიბები განსაკუთრებით გაძლიერდნენ ქუცნას დროს. ქუცნა ამირეჯიბის ქალიშვილი-ნათია ცოლად ჰყავდა საქართველოს მეფეს - კონსტანტინე I-ეს (1407-1411). ზემოთ მითითებულ დოკუმენტში, ულუმბოს ღვთისმშობლის მონასტრისადმი ქუცნა ამირეჯიბის მიერ ბოძებულ „დაწერილში“ აღნიშნულია, რომ ქუცნა I ამირეჯიბმა,[6] რომელმაც თემურ-ლენგისაგან მიწასთან გასწორებული (გ. ოთხმეზურის აზრით, ეს უნდა მომხდარიყო 1400 წელს, მისი VI ლაშქრობის დროს) (ოთხმეზური, 1999: 29) ულუმბოს მონასტერი აღადგინა, აღაპები დააწესა თავისი მეუღლის-რუსას, ძის რამინის, მამის ცუარის, ბიძის რამინის, რძლის-ანას, პაპის ქურციკის, შვილიშვილის-ალექსანდრე I-ის, სიძის კონსტანტინეს, ქალიშვილის ნათიას, გიორგი მეფის, რუსუდან მეფის და ქურციკის მეუღლის სახელებზე. (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 2013: 94) სწორედ ქუცნა I-ის დროს აშენდა ნაბახტევის ეკლესია, რომლის ფრესკებზე ქუცნასთან და მისი ოჯახის წევრებთან ერთად გამოსახულია საქართველოს მეფე ალექსანდრე I-ქუცნას შვილიშვილი (1412-1442წწ.) და მის მეუღლე. (გომელაური, 1970) ქუცნა I ამირეჯიბს ულუმბოს მონასტრისთვის უბოძებია სოფელი ბრეძა, რომელიც კლიმაჩაძისაგან უყიდია, ასევე სოფელი საღოლაშენი და ღოღეთი. აღნიშნული სოფელი ბიძამისს ალუქბარს ულუმბოს მონასტრისთვის ჰქონდა მიყიდული,

[5] მრავალძალის სალოცავი, ცნობილია, რომ რაჭაში, კერძოდ, ონის რაიონშია. გ. ოთხმეზური ეჭვქვეშ აყენებს, რომ გაბელისძეთა საგვარეულოს გავლენა ასე შორს გავრცელებულიყო. მკვლევარის წერს: „ თაჯის შეწირვას მრავალძალის ეკლესიისადმი რაღაც სხვა მიზეზი უნდა ჰქონდეს.“ (ოთხმეზური, 1999: 34) არ გამოვრიცხავთ, რომ გაბელისძეთა წინაპრები რაჭიდან იყვნენ ჩამოსულები და ისინი წინაპრების სალოცავთან კავშირს ინარჩუნებდნენ.

[6] ქუცნა ამირეჯიბის მიერ ულუმბოს ღვთისმშობლისადმი ბოძებული დაწერილი შეიცავს, გაბელისძეთა საგვარეულოს რამდენიმე თაობის წარმომადგენელთა მიერ მონასტრისადმი გაღებული წყალობის და ასევე სხვა დამსახურებების შესახებ სხვადასხვა ცნობებს. გ. ოთხმეზური ამის შესახებ წერს: „ტექსტში ქრონოლოგიური თანმიმდევრობა არაა დაცული და XV ს-ის I მესამედის ამბების თხრობაში შიგადაშიგ ჩართულია ცნობები ამავე საუკუნის 50-80იანი წწ-ის და XVI ს-ის II მეოთხედის საბუთებიდან.“ (ოთხმეზური, 1999: 29)

თუმცა ამირეჯიბს გამოუსყიდია და კვლავ მონასტრისთვის უჩუქებია. ქუცნა I როგორც „დაწერილიდან“ ირკვევა, დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა და საქართველოს სამეფო კარისაგან კონსტანტინოპოლში რამდენჯერმე იყო გაგზავნილი. (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 2013: 95-96) დაწერილში ერთი საინტერესო ჩანართია, რომელიც გ. ოთხმეზურის აზრით, ქუცნა I-ის შვილთაშვილის ქუცნა III-ის დაწერილია: „როდეს ფალავანდიშვვლის საქმეზ(ე) და მეფეთ-მეფესა ალექსანდრესა შ[ე]ხუთა ალი, ორნი ძმანი პაპისა ჩ(ე)მისა დაიჭირეს და ტყავები დაჰხადეს და ბზით დატენეს ალინჯას, აიღეს მისად სანუქფოდ.“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 2013: 94) როგორც გ. ოთხმეზური განმარტავს, „დაწერილის“ ამ ჩანართში საუბარია 1488 წელს ფალავანდიშვილებსა და ამირეჯიბებს შორის მომხდარ დავაზე. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ რამინ გაბელიძის ერთ-ერთმა შვილმა სიაოშ ფალავანდიშვილის მამა მოკლა. ფრონეს ხეობის ამ ნაწილზე, საუბარია ფცის ფრონეს ზემო წელზე, იმერეთის მეფის გავლენა ვრცელდებოდა, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ იმერეთის მეფე ალექსანდრემ II-ის განჩინებით (1484-1510 წწ.) რამინ გაბელისძემ სიაოშ ფალავანდიშვილს და მის ძმებს საზღაურში ოქონა და ოქონას მონასტერი გადასცა. (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Hd-8731; ოთხმეზური, 1999: 37) როგორც ზემოთ ვნახეთ, მეფემ რამინ გაბელისძის ძმები სიკვდილით დასაჯა(საშინელი წამებით) ამირეჯიბებს ჩამოართვა სოფელი ალი. ქუცნა ამირეჯიბის დაწერილის გვიანდელ ჩანართში ვკითხულობთ: „კიდევ შეგვწყალნა ჩ(უენ) და ჩ(უეე)ნგ(ა)ნ აშენებული ალი ისრევე გვბოძა. შევწირეთ მათ წამებულთათჳს გამოღმა ალი-ბაჟის მესამედი, წაკუაძის სარგოს გარეთ, რაიც შეწირულ სიგლებში ეწიროს, იმგუარად.“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 2013: 94) როგორც ჩანს, წართმეული და უკან დაბრუნებული ალის ერთი ნაწილი (გამოღმა მხარე), ქუცნა III ამირეჯიბმა თავისი წინაპრების(სიკვდილით დასჯილი რამინ გაბელისძის ძმების)სულთა საცხონებლად ულუმბოს მონასტერს შესწირა. სწორედ მითითებული დოკუმენტით ირკვევა, რომ XV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ლიხის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში თანდათან მკვიდრდება ფალავანდიშვილთა გვარი, რომელიც მამულების ხელში ჩაგდების მიზნით, გაბელიძე-ამირეჯებების გვარს უპირისპირდება. ფალავანდიშვილები ეუფლებიან ალის და ფცის ფრონეებში არსებულ სოფლებს. ფალავანდიშვილების შიდა ქართლის ამ ნაწილში დამკვიდრებას ადასტურებს გომართას დარბაზული ეკლესიის ფრესკული წარწერებიც, სადაც გ. ოთხმეზურის აზრით, სწორედ 1488 წლის საბუთით ცნობილი სიაოშ ფალავანდიშვილი და მისი ოჯახის წევრები იხსენიებიან. (ოთხმეზური, 1999: 108) XVII საუკუნის მეორე ნახევარში ფალავანდიშვილების რეზიდენციად იქცა ფცის ხეობაში არსებული სოფელი ძაღინა. (მაკალათია, 1963: 60) XVII საუკუნის I ნახევარში ფცის და დვანის ფრონეების ხეობათა სოფლებში ფეხს იკიდებენ ბაგრატიონ-დავითიშვილები. მათ მითითებული ხეობების არაერთ სოფელში ჰქონდათ მამულები. (ოთხმეზური, 1999: 42)

დასკვნა. წარმოდგენილი მასალების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სურამელთა საგვარეულოს პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრობის შემდეგ ლიხის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში დოღლიძეების საგვარეულო გამოჩნდა. მათი სამფლობელო ვრცელდებოდა სურამის, ალის, ფცის და დვანის ფრონეების სოფლებზე. XV საუკუნის დასაწყისიდან, დოღლისძეების საკუთრებაში არსებულ მამულებს ჩრდილო-აღმოსავლეთით თავხელისძე-მაჩაბლები დაეუფლნენ (ამას ადასტურებს 1432 წლის თირის მონასტრის საბუთი), ხოლო მისი დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენილი გაბელისძე-ამირეჯიბების საკუთრებაში მოექცა. ცნობები დოღლისძეთა საფეოდალოს არსებობის შესახებ შემოგვინახა რამდენიმე დოკუმენტმა, ზეპირსიტყვიერმა გადმოცემებმა და დღემდე შემორჩენილმა ტოპონიმმა- „დოღლაური“. ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებობს დუგლაძეების გვარი. ჩვენი აზრით,

მითითებული გვარი, სწორედ ძველ ფეოდალურ საგვარეულოდან-დოღლისძისაგან უნდა მომდინარეობდეს (ზეპირსიტყვიერ გადმოცემებში, მაგ. ს. მგალობლიშვილიშვილის პუბლიკაციის მიხედვით იხსენიება დოღლასძე). სავარაუდოდ გვარი ასეთი სახით უნდა ჩამოყალიბებულიყო. დოღლისძე-დოღლასძე-დუღლასძე-დუგლასძე-დუგლაძე.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაგრატიონი, ი. (1986). *ქართლ-კახეთის აღწერა.* თბილისი.

ბახტაძე, მ. (თ.გ.). *სურამელთა ფეოდალური საგვარეულო.* https://www.academia.edu/35367852/სურამელთა_ფოედალური_საგვარეულო_pdf

გვასალია, ჯ. (1983). *აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები.* თბილისი.

გვასალია, ჯ. (1989). ფრონეს ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული.* VII. თბილისი.

გვრიტიშვილი, დ. (1955). *ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან.* თბილისი.

გომელაური, ი. (1970). *ნაბახტევის მოხატულობა.* თბილისი.

ენციკლოპედია „საქართველო“. (2012). ტ. 2. თბილისი.

ივერია. (1888). #216.

მაკალათია, ს. (1963). *ფრონეს ხეობა.* თბილისი.

მგალობლიშვილი, ს. (1884). ორი თვე სოფლად. *დროება.* #167.

ოთხმეზური, გ. (1999). *შიდა ქართლის მცირე სათავადოები.* დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

პირთა ანოტირებული ლექსიკონი. (1993). II. გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ. თბილისი.

ჟორდანია, თ. (2018). *ქრონიკები.* II. თბილისი.

სოსიაშვილი, გ. (2021). *სამაჩაბლოს ისტორია.* თბილისი.

ქართლის ცხოვრება. (1955). ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი.

ქართლის ცხოვრება. (1959). ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი.

ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. (2013). ტ. II. თბილისი.

ქართული სამართლის ძეგლები. (1965). ი. დოლიძის გამოცემა. II. თბილისი.

ღლონტი, ალ. (1988). *ფრონეების ხეობების ტოპონია.* თბილისი.

ხარაძე, კ. (1992). *საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი.* თბილისი.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Hd-8731.

ხუციშვილი, ნ. (2006). *იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში.* თბილისი.

ჯავახიშვილი, ი. (1947). *სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა.* თბილისი.

Clauson, G. (1962). *Turkish and Mongolian Studies.* Royal Asiatic Society (Prize Publication Fund, Vol. XX); sold by Luzas & Co. London.

Kafesoğlu, İ. (n.d.). *Alparslan.* Retrieved from https://islamansiklopedisi.org.tr/Alparslan#:~:text=Zaptı%20imkânsız%20sanılan%20Ani'nin%20müslümanlar%20tarafından%20fethedilmesi%20Doğu'da%20ve%20Batı'da%20büyük%20yankılar%20uyandırmış%2C%20Halife%20Kāim-Biemrillâh%20özel%20elçisiyle%20gönderdiği%20mektubunda%20takdir%20ve%20tebriklerini%20bildirerek%20Alparslan'a%20"Ebü'l-feth"%20lakabını%20vermiştir

REFERENCES

bagrat'ioni, i. (1986). *kartl-k'akhetis aghts'era [Kartli-Kakheti Census]*. Tbilisi.

bakht'adze, m. (t.g.). *suramelta peodaluri sagvareulo [The Feudal Lineage of the Suramels]*. https://www.academia.edu/35367852/სურამელთა_ფეოდალური_საგვარეულო_pdf

gvasalia, j. (1983). *aghmosavlet sakartvelos ist'oriuli geograpiis nark'vevebi [Essays on the Historical Geography of Eastern Georgia]*. Tbilisi.

gvasalia, j. (1989). prones kheobata ist'oriuli geograpiis sak'itkhebi [Issues of the Historical Geography of the Prone Gorges]. *sakartvelos ist'oriuli geograpiis k'rebuli [Collection of Historical Geography of Georgia]*. VII. Tbilisi.

gvrit'ishvili, d. (1955). *peodaluri sakartvelos sotsialuri urtiertobis ist'oriidan [From the History of Social Relations in Feudal Georgia]*. Tbilisi.

gomelauri, i. (1970). *nabakht'evis mokhat'uloba [The Murals of Nabakhtevi]*. Tbilisi.

entsik'lop'edia „sakartvelo" [Encyclopedia "Georgia"]. (2012). Vol. 2. Tbilisi.

iveria [Iveria]. (1888). #216.

mak'alatia, s. (1963). *prones kheoba [Prone Gorges]*. Tbilisi.

mgaloblishvili, s. (1884). ori tve soplad [Two Months in the Countryside]. *droeba [Droeba]*. #167.

otkhmezuri, g. (1999). *shida kartlis mtsire satavadoebi [Minor Nobles of Shida Kartli]*. Dissertation for the degree of Doctor of Historical Sciences. Tbilisi.

p'irta anot'irebuli leksik'oni [Annotated Dictionary of Persons]. (1993). II. Prepared for publication by D. Kldiashvili, M. Surguladze. Tbilisi.

zhordania, t. (2018). *kronik'ebi [Chronicles]*. II. Tbilisi.

sosiashvili, g. (2021). *samachablos ist'oria [History of Samachablo]*. Tbilisi.

kartlis tskhovreba [The Georgian Chronicles]. (1955). t' Text established according to all the main manuscripts, by S. Kaukhchishvili. Vol. I. Tbilisi.

kartlis tskhovreba [The Georgian Chronicles]. (1959). Text established according to all the main manuscripts, by S. Kaukhchishvili. Vol. II. Tbilisi.

kartuli ist'oriuli sabutebis k'orp'usi [Corpus of Georgian Historical Documents]. (2013). Vol. II. Tbilisi.

kartuli samartlis dzeglebi [Monuments of Georgian Law]. (1965). Publication of A. Dolidze. II. Tbilisi.

ghlont'i, al. (1988). *proneebis kheobebis t'op'onia [The Toponymy of Prone Gorges]*. Tbilisi.

kharadze, k'. (1992). *sakartvelos ist'oriuli geograpia, shida kartli [Historical Geopraphy of Georgia, Shida Kartli]*. Tbilisi.

khelnats'erta erovnuli tsent'ri Hd-8731 [National Center of Mnuscripts Hd-8731].

khutsishvili, n. (2006). *ierusalimis jvris monast'ris mits'atmplobeloba sakartveloshi [Land ownership of the Jerusalem Cross Monastery in Georgia]*. Tbilisi.

javakhishvili, i. (1947). sinis *mtis kartul khelnats'erta aghts'eriloba [Description of the Georgian Manuscripts of Mount Sinai]*. Tbilisi.

Clauson, G. (1962). *Turkish and Mongolian Studies.* Royal Asiatic Society (Prize Publication Fund, Vol. XX); sold by Luzas & Co. London.

Kafesoğlu, İ. (n.d.). *Alparslan.* Retrieved from https://islamansiklopedisi.org.tr/Alparslan#:~:text=Zaptı%20imkânsız%20sanılan%20Ani'nin%20müslümanlar%20tarafından%20fethedilmesi%20Doğu'da%20ve%20Batı'da%20büyük%20yankılar%20uyandırmış%2C%20Halife%20Kāim-Biemrillâh%20özel%20elçisiyle%20gönderdiği%20mektubunda%20takdir%20ve%20tebriklerini%20bildirerek%20Alparslan'a%20"Ebü'l-feth"%20lakabını%20vermiştir